თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური კონფერენცია

შექსპირი,
ჩვენი მუდმივი თანამედროვე:
ძალაუფლება,
პოლიტიკა და წარმოდგენა



SHAKESPEARE,
OUR ETERNAL CONTEMPORARY:
POWER,
POLITICS,
PERFORMANCE

TBILISI SECOND INTERNATIONAL
THEATRE CONFERENCE
2026

თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური კონფერენცია ხორციელდება **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის** მიერ, **თეატრის ლიდერთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IATL)** თანამშრომლობით

პროგრამის მხარდამჭერია საქართველოს შექსპირის ასოციაცია

დაფინანსებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ

კონფერენციის ხელმძღვანელი

ანა კვინიკაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tbilisi Second International Theatre Conference is organised by **Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University** in partnership with the **International Association of Theatre Leaders (IATL)**

Programme Supporter: Shakespeare Association of Georgia

Funded by the Ministry of Culture of Georgia

Conference Director

Ana Kvinikadze, PhD in Theatre Studies
International Relations Coordinator
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University (TAFU)

პროგრამის დღის წესრიგი

26 ნოემბერი ხუთშაბათი	12^{00}–17^{45}	**თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური კონფერენცია** *შექსპირი, ჩვენი მუდმივი თანამედროვე: ძალაუფლება, პოლიტიკა და წარმოდგენა*	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
	18^{00}–19^{00}	იან კოტის წიგნის **„შექსპირი, ჩვენი თანამედროვე“** ქართულენოვანი გამოცემის წარდგენა. წიგნს წარადგენენ: **ქეთევან ქანთარია** (მთარგმნელი), **მარინე (მაკა) ვასაძე, ანა კვინიკაძე** (რედაქტორები), **ოქტავიან საიუ** (ქართული გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი)	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
27 ნოემბერი პარასკევი	12^{00}–13^{00}	პანელური დისკუსია: **„შექსპირი ქართულ ენაზე: თარგმნის ისტორია და კულტურული გავლენა“** მომხსენებლები: **მანანა გელაშვილი, ქეთევან გრძელიძე**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
	13^{00}–14^{30}	პანელური დისკუსია: **„შექსპირის ფესტივალები და ფესტივალების შექსპირი: ერთიანობა მთელ მსოფლიოში“** მომხსენებლები: **ფილიპ პარი, ვლად დრაგულესკუ, ქეთი დოლიძე, სოფიო თორთლაძე** მოდერატორი: **ოქტავიან საიუ**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
	14^{30}–15^{30}	**მანანა ანასაშვილის** ლექცია (სტუდენტებისთვის): **„პირველი ფოლიო – 1623“**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
	15^{30}–16^{30}	**ელგუჯა ხინთიბიძის** ლექცია: **„რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* – შექსპირისა და მისი ეპოქის ინგლისური დრამატურგიის ლიტერატურული წყარო“**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი პარასკევი	16^{30}–17^{30}	**ოქტავიან საიუს** ლექცია: **„დანარჩენი სიგიჟეა: ჰამლეტი – ჩვენი მუდმივი თანამედროვე“**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
	20^{00}–20^{50}	სპექტაკლი **„ჰამლეტი“** რეჟისორი: **კახა ბაკურაძე** ქორეოგრაფი: **ლაშა რობაქიძე**	მოძრაობის თეატრი
28 ნოემბერი შაბათი	10^{00}–11^{30}	**ფილიპ პარის** სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან: **„შექსპირთან ერთად: თამაში და დადგმა“**	შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

PROGRAMME AGENDA

26 November Thursday	12^{00}–17^{45}	**Tbilisi Second International Theatre Conference** *Shakespeare, Our Eternal Contemporary: Power, Politics, Performance*	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
	18^{00}–19^{00}	**Book Presentation:** The First Georgian Translation of **Jan Kott's** ***Shakespeare Our Contemporary*** Presented by: **Ketevan Kantaria** (translator), **Marine (Maka) Vasadze and Ana Kvinikadze** (editors), and **Octavian Saiu** (author of the foreword to the Georgian edition)	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
27 November Friday	12^{00}–13^{00}	Panel Discussion: ***Shakespeare in Georgian: History and Cultural Impact of Translations*** Speakers: **Manana Gelashvili, Ketevan Grdzelidze**	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
	13^{00}–14^{30}	Panel Discussion: ***Festivals of Shakespeare, Shakespeare of Festivals: Togetherness Around the Globe*** Speakers: **Philip Parr, Vlad Dragulescu, Keti Dolidze, Sophio Tortladze** Moderator: **Octavian Saiu**	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
	14^{30}–15^{30}	Lecture by **Manana Anasashvili** (for students): ***The First Folio – 1623***	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
	15^{30}–16^{30}	Lecture by **Elguja Khintibidze:** ***Rustaveli's "The Man in a Panther-Skin" - A Literary Source for Shakespeare and the English Drama of His Era***	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

27 November Friday	16^{30}–17^{30}	Lecture by **Octavian Saiu**: ***The Rest is Madness: Hamlet, Forever Our Contemporary***	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
	20^{00}–20^{50}	Performance: ***Hamlet*** Director: **Kakha Bakuradze** Choreographer: **Lasha Robakidze**	Movement Theatre
28 November Saturday	10^{00}–11^{30}	Workshop by **Philip Parr** (for students): ***Acting and Directing WITH Shakespeare***	Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

თბილისის მეორე საერთაშორისო თეატრალური კონფერენცია

შექსპირი, ჩვენი მუდმივი თანამედროვე: ძალაუფლება, პოლიტიკა და წარმოდგენა

26 ნოემბერი
12^{00}–17^{45}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოდო ალექსიძის სახელობის თეატრი

შოთა რუსთაველის გამზ. № 19

12^{00} კონფერენციის გახსნა

12^{00}–12^{10} საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **გიორგი შალუტაშვილის** მისასალმებელი სიტყვა

12^{10}–12^{20} კონფერენციის ხელმძღვანელის, **ანა კვინიკაძის** მისასალმებელი სიტყვა

12^{20}–12^{40} საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭება პროფესორ ოქტავიან საიუსათვის** ***უნივერსიტეტის წინაშე გაწეული სამსახურისა და თეატრალური განათლებისა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის***

12^{40}–12^{50} **რობერტ სტურუას** ვიდეო-მიმართვა

12^{50}–13^{00} კონფერენციის თავმჯდომარის, **ოქტავიან საიუს** შესავალი სიტყვა

13^{00}–13^{30} **ანა კოვალჩე-პავლიკის** მოხსენება

13^{30}–14^{00} **ფილიპ პარის** მოხსენება

14^{00}–14^{20} ***ყავის შესვენება***

14^{20}–14^{40} **მაია კიკნაძის** მოხსენება

14^{40}–15^{00} **მარინე (მაკა) ვასაძის** მოხსენება

15^{00}–15^{20} **მანანა გელაშვილის** მოხსენება

15^{20}–16^{30} ***შესვენება***

16^{30}–16^{50} **სოფია ნადიბაიძის** მოხსენება

17^{00}–17^{30} **დ. ლენს მარშის** მოხსენება

17^{30}–17^{45} კონფერენციის თავმჯდომარის, **ოქტავიან საიუს,** კონფერენციის შემაჯამებელი სიტყვა

TBILISI SECOND INTERNATIONAL THEATRE CONFERENCE

SHAKESPEARE, OUR ETERNAL CONTEMPORARY: POWER, POLITICS, PERFORMANCE

26 November
12^{00}–17^{45}

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
Dimitri Aleksidze Theatre

19, Shota Rustaveli Ave.

12^{00}	Opening of the Conference
12^{00}–12^{10}	Welcome Speech by the Rector of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Prof. **George Shalutashvili**
12^{10}–12^{20}	Welcome Speech by the Conference Director, **Ana Kvinikadze**
12^{20}–12^{40}	**Conferral of the Title of Honorary Doctor *(Doctor Honoris Causa)* of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University upon Professor Octavian Saiu,** in recognition of ***his distinguished service to the University and his outstanding contribution to the development of theatre education and academic research***
12^{40}–12^{50}	Video Address by **Robert Sturua**
12^{50}–13^{00}	Opening Address by the Conference Chair, **Octavian Saiu**
13^{00}–13^{30}	Paper Presentation by **Anna Kowalcze-Pawlik**
13^{30}–14^{00}	Paper Presentation by **Philip Parr**
14^{00}–14^{20}	*Coffee Break*
14^{20}–14^{40}	Paper Presentation by **Maia Kiknadze**
14^{40}–15^{00}	Paper Presentation by **Marine (Maka) Vasadze**
15^{00}–15^{20}	Paper Presentation by **Manana Gelashvili**
15^{20}–16^{30}	*Break*
16^{30}–16^{50}	Paper Presentation by **Sophia Nadibaidze**
17^{00}–17^{30}	Paper Presentation by **D. Lance Marsh**
17^{30}–17^{45}	Closing Remarks by the Conference Chair, **Octavian Saiu**

ანოტაციები
ABSTRACTS



ანა კოვალჩე-პავლიკი, Ph.D.
ასოცირებული პროფესორი,
ამერიკისმცოდნეობისა და მასმედიის დეპარტამენტი,
საერთაშორისო და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ლოძის უნივერსიტეტი

ANNA KOWALCZE-PAWLIK, Ph.D.
Assistant Professor
Department of American Studies and Mass Media
Faculty of International and Political Studies
University of Lodz

„სიზმრის შემზარავი მხარე“: შექსპირის კოტისეული წაკითხვა

მოხსენება განიხილავს უილიამ შექსპირის პიესის, „ზაფხულის ღამის სიზმრის“, სამ თანამედროვე ევროპულ დადგმას: იან კლატას 2023 წლის „ზაფხულის ღამის სიზმარს“ (Nowy Theatre, პოზნანი, პოლონეთი), მიჰაი ცარნას 2025 წლის „ზაფხულის ღამის სიზმარს“ (Teatrul Fara Nume, კიშინიოვი, მოლდოვა) და ჰოლი რეის-როუანის 2025 წლის „ზაფხულის ღამის სიზმარს“ (Headlong Company, Sam Wanamaker, the Globe, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი). მოხსენების მთავარი თემაა ამ სამ დადგმაში პიესის იან კოტისეული ინტერპრეტაციის („შექსპირი ჩვენი თანამედროვე“) ასახვა; სწორედ კოტისეული წაკითხვა წარმოაჩენს ადამიანურ ურთიერთობათა სისასტიკეს, ტირანიის ზემოქმედებასა და ათენის ტყის საშინელებებს, რომელთაც ადამიანური სახელები ჰქვიათ.

“THE FIERCE VEXATION OF A DREAM”: SHAKESPEARE'S KOTTESQUE FILTER

This presentation will discuss *A Midsummer Night's Dream* in three recent productions from three corners of Europe: Jan Klata's 2023 *Sen nocy letniej* (Nowy Theatre, Poznan, Poland), Mihai Tarna's 2025 *Visul unei nopti de vara* (Teatrului Fara Nume, Chisinau, Moldova), and Holly Race Roughan's 2025 *A Midsummer Night's Dream* (Headlong Company, Sam Wanamaker, the Globe, London, UK). The focus will be on the way in which the interpretation of the play proposed by Jan Kott in *Shakespeare Our Contemporary* is recrafted in all three productions in question, demonstrating the brutality of human interactions, the tyrannical rule of law, and the horrors of the Athenian forest, whose names are all-too-human.



Photo © Greg Goodale

ფილიპ პარი

თეატრისა და ოპერის რეჟისორი
თეატრალური კომპანია „Parrabbola“-ს
სამხატვრო ხელმძღვანელი
იორკის შექსპირის საერთაშორისო
ფესტივალის დირექტორი

PHILIP PARR

Theatre and Opera Director
Artistic Director, Parrabbola
Director, York International
Shakespeare Festival

შექსპირი: შეამჩნიე და მიიღე „სპილო ოთახში“

როგორ ვიმუშაოთ შექსპირთან დღეს, როდესაც მის შემოქმედებას თან ახლავს მრავალსაუკუნოვანი კულტურული და თეატრალური მემკვიდრეობა? შექსპირის თითოეულ პიესას აქვს გამორჩეული დადგმები და ინტერპრეტაციები; არსებობს სპექტაკლები, რომლებიც ამა თუ იმ ნაწარმოების ერთგვარ ეტალონურ, საბოლოო ვერსიებადაც კი მიიჩნევა.

რჩება თუ არა სივრცე თანამედროვე ხელოვანებისთვის, შექმნან ისეთი რამ, რაც სიახლითა და ინოვაციურობით გამოირჩევა? როგორ ვიმუშაოთ შექსპირთან ისე, რომ მისი შემოქმედების თანმხლებმა მემკვიდრეობამ ახალი შემოქმედებითი შესაძლებლობების აღმოჩენაში ხელი არ შეგვიშალოს?

SHAKESPEARE: EMBRACE THE ELEPHANT AND WELCOME HIM INTO THE ROOM

How do we work with Shakespeare today, when he brings so much baggage with him? Every play has memorable productions and interpretations, performances that are described as definitive.

Where is there room for the artists working today to create something that can feel fresh and innovative and how can we work with Shakespeare rather than feel overwhelmed?



მაია კიკნაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

MAIA KIKNADZE
Doctor of Arts, Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

შექსპირის დადგმის ტრადიცია ძველ ქართულ თეატრში

შექსპირის პიესების დადგმის პირველი ცდები ქართულ სცენაზე უკავშირდება სცენისმოყვარეთა წარმოდგენებსა და შემდგომ პერიოდს – XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, პროფესიული რეჟისურის ჩამოყალიბებამდე. შექსპირის პიესების დამკვიდრება ქართულ თეატრში დაკავშირებულია მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებასა (1879) და მის შემდგომ განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში არსებული კომედიებისა და ვოდევილების გვერდით, შექსპირის პიესების დადგმებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ სცენაზე ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში. სამსახიობო ხელოვნების განვითარების ამ ეტაპზე შეიქმნა ტრაგიკულ პერსონაჟთა არაერთი გამორჩეული სახე.

ქართულ სცენაზე შექსპირის პიესების პოპულარიზაციას ხელი შეუწყვეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, მთარგმნელებმა და მსახიობებმა: ლადო მესხიშვილმა, კოტე ყიფიანმა, ვალერიან გუნიამ, ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა, ივანე მაჩაბელმა და მიხეილ ბებუთაშვილმა. მათი ინიციატივით ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა შექსპირის ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“ და „ოტელო“.

THE TRADITION OF STAGING SHAKESPEARE IN THE OLD GEORGIAN THEATRE

The earliest attempts to stage Shakespeare's plays on the Georgian stage date back to amateur theatrical performances in the 1840s and the subsequent decades, preceding the establishment of professional stage directing in the 1890s. The integration of Shakespeare's plays into the Georgian theatrical repertoire was closely linked to the establishment of a permanent professional theatre in 1879 and its subsequent development.

Alongside the comedies and vaudevilles popular at the time, productions of Shakespeare's plays played a significant role in establishing a new literary language on the Georgian stage. This period in the development of acting also saw the creation of numerous remarkable portrayals of tragic characters.

The promotion of Shakespeare's works in Georgian theatre was advanced by prominent public figures, translators, and actors, including Lado Meskhishvili, Kote Kipiani, Valerian Gunia, Ilia Chavchavadze, Dimitri Kipiani, Ivane Machabeli, and Mikheil Bebuthashvili. Through their initiatives, Georgian theatre saw early productions of Shakespeare's works, including *Romeo and Juliet, The Merchant of Venice, Hamlet, King Lear*, and *Othello.*



მარინე (მაკა) ვასაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

MARINE (MAKA) VASADZE
Doctor of Arts, Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

შექსპირის ინტერპრეტაციები რობერტ სტურუას შემოქმედებაში

(რუსთაველის ეროვნულ თეატრში განხორციელებული დადგმების მაგალითზე)

რობერტ სტურუა თავის შემოქმედებაში იკვლევს ტირანიის, ტირანულ სახელმწიფოში ადამიანის თავისუფლების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემებს, ამხელს ტირანიის არაადამიანურ არსს. მას ყოველთვის აწუხებდა ტირანულ სახელმწიფოში პიროვნების ნიველირების პრობლემა, ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ მან მიმართა შექსპირის პიესებს. რობერტ სტურუას რუსთაველის ეროვნულ თეატრში განხორციელებული შექსპირის დადგმები: „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“ (1987), „მაკბეტი“ (1995), „ჰამლეტი“ (2001), „იულიუს კეისარი - ფრაგმენტები ერთ მოქმედებად“ (2015) - ასახავს ადამიანის ძალაუფლებისკენ სწრაფვას, უკანასკნელში კი სხვასთან ერთად იმ ფსიქიკურ თუ მორალურ ზიანს, რომელსაც ძალაუფლება და მისკენ ლტოლვა აყენებს ადამიანს, არა აქვს მნიშვნელობა ძალაუფლების სუბიექტია ის, თუ ობიექტი. ასეთი სვლა ძალაუფლების ანატომიიდან („რიჩარდ III“, „მეფე ლირი“,

SHAKESPEAREAN INTERPRETATIONS IN ROBERT STURUA'S WORK

(Based on Staged Productions at the Rustaveli National Theatre)

In his work, Robert Sturua explores tyranny and the interrelationship between the individual and society within a tyrannical state, exposing the inhuman nature of oppression. The director has consistently been concerned with the problem of individual suppression under a tyrannical regime, which naturally led him to Shakespeare's plays. Sturua's Shakespearean productions at the Rustaveli Theatre, *Richard III, King Lear* (1987), *Macbeth* (1995), *Hamlet* (2001), and *Julius Caesar*, fragments condensed into a single act (2015), reflect the human drive for power. In the latter production, alongside others, the psychological and moral harm caused by the pursuit of power is laid bare, regardless of whether the individual is the subject or object of that power.

The progression from the anatomy of power *(Richard III, King Lear, Macbeth, Julius Caesar)* to the anatomy of the soul *(Hamlet)* is entirely logical within Sturua's creative trajectory. *Twelfth Night* represents a "theatre within

„მაკბეტი“, „იულიუს კეისარი“) სულის ანატომიისკენ („ჰამლეტი“) რობერტ სტურუას შემოქმედებაში სრულიად ლოგიკურია. კომედია „მეთორმეტე ღამე“ (2001) - სტურუასთან ინტერპრეტირებულია, როგორც „თეატრი თეატრში“. ამ ცხოვრება-თეატრში, ცხოვრება-ბალაგანში, ადამიანი-თოჯინების, ადამიანი-ნიღბების, ადამიანი-ჯამბაზების ბალაგანური ამაოების მიღმა ნათლად ჩანს სხვა, კერძოდ კი, განწირული ადამიანის განცდები.

რობერტ სტურუას შექსპირიანა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბის სათეატრო ფენომენია. მხატვრული ფორმისა და უნიკალური სცენური ენის მეშვეობით, რეჟისორმა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა, როგორც საბჭოთა სისტემისთვის იმანენტური სისასტიკე, ისე, იმავდროულად, ტირანიის კოლაფსის გარდაუვალობა. დადგმებში ნათლად აისახა ძალაუფლებისკენ ადამიანის ლტოლვის მარადიული ციკლურობა და მისი მოპოვებისთვის წარმოებული პერმანენტული ბრძოლა.

a theatre.” Within this life-theatre, amid the “Balagan” of life, the human-puppets, human-masks, and human-jesters reveal, beyond the futility of the “Balagan,” the profound feelings of doomed human beings.

Sturua’s Georgian Shakespearean productions are not only a national but also an international phenomenon. Through artistic form and his unique theatrical language, he has taken beyond Georgia both the viciousness inherent in the Soviet system and, at the same time, the inevitability of the collapse of tyranny, along with the perpetual cycle of the human drive for power and the continuous struggle to seize it.



მანანა გელაშვილი
თსუ შექსპირის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
თსუ დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

MANANA GELASHVILI
Head of the TSU Scientific-Research Centre for Shakespeare Studies
Head of the TSU Institute of Western European Languages and Literature

„სამყარო სცენაა": შექსპირის „ქარიშხლის" ორი პოსტმოდერნული ვარიაცია

უკვე არსებული დიდი ტექსტების პოსტმოდერნული ვარიაციები ბადებს აზრს, რომ ლიტერატურა/ხელოვნება შეიძლება აღვიქვათ როგორც თამაში, რომელსაც რეალობასთან კი აღარ აქვს კავშირი, არამედ სიმულაკრებთან. ეს ვარაუდი კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება, როცა პოსტმოდერნული ნაწარმოები თეატრს უკავშირდება და იგი ან პიესის თეატრალურ ხორცშესხმას წარმოადგენს, ან ნაწარმოები თეატრს შეეხება.

წარმოდგენილი მოხსენება მიზნად ისახავს აჩვენოს თუ როგორ არის წარმოდგენილი შექსპირის მეტაფორა „სამყარო სცენაა" მისივე პიესის „ქარიშხლის" ორ პოსტმოდერნულ ვარიაციაში:

1. ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას დადგმა „ქარიშხალი" (2011).

2. მარგარეტ ეტვუდის რომანი „კუდიანის ნაშიერი" (The Hag-Seed, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე „ქარიშხალი" სხვადასხვა ჟანრშია წარმოდგენილი (ერთი სცენური ინტერპრეტაციაა და მეორე პიესის

"THE WORLD IS STAGE": TWO POST-MODERN VARIATIONS OF SHAKE-SPEARE'S "THE TEMPEST"

The postmodern recycling of earlier texts poses the question of whether art/literature can be better comprehended as a game having no link to realitywhich is substituted by simulacra. The presumption appears especially true when the text is related to the theatre, either through a play/performance or a narrative about the theatre.

The present paper explores the concept of "The World is Stage" in two postmodern renderings of Shakespeare's "The Tempest":

a) Georgian theatre director Robert Sturua's production of "The Tempest" (2011).

b) Margaret Atwood's remake of the play into a novel - "The Hag-Seed" (2016).

Despite belonging to different genres, both Sturua and Atwood play out the concept of Theatre Mundi present in "The Tempest", which in all of Shakespeare's plays is the best embodiment of perceiving the world as stage.

Atwood's modern Prospero is a theatre director who, after being fired by a trusted colleague, takes a position teaching literacy

რომანული რიმეიკი) ორივე ავტორი რობერტ სტურუაცა და მარგარეტ ეტვუდიც „თამაშობენ" Theatre Mundi-ს კონცეპტით, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია შექსპირის შემოქმედებისთვის, „ქარიშხალში" კი სამყაროს სცენად აღქმა ყველა სხვა პიესასთან შედარებით ყველაზე მძაფრად ჟღერს.

ეტვუდის თანამდეროვე პროსპერო თეატრის რეჟისორია, რომელიც კოლეგის მიერ თეატრიდან გაძევების შემდეგ გამოსასწორებელ კოლონიაში იწყებს მუშობას და შექსპირის „ქარიშხალს" დგამს ციხის პატიმრების მონაწილეობით. რომანში ეტვუდი იკვლევს რეალობისა და ილუზორულის ურთიერთმიმართებას და აჩვენებს თანამედროვე ტექნოლოგიების ჯადოქრობით როგორ ანაცვლებს სიმულაკრები რეალობას. მის რომანში არიელი ჰაკერია, ხოლო ნიღბების ქალღმერთები დისნეის პრინცესები (ეკოცა და ბოდრიარიც დისნეილენდს ჰიპერრეალობის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევდნენ).

რობერტ სტურუამ „ქარიშხალი" Et Cetera Theatre- ში დადგა, მას შემდეგ რაც იგი რუსთაველის თეატრიდან გაათავისუფლეს. პროსპეროსავით თავისი სამშობლიდან გაძევებულმა სტურუამ შექსპირის ხუთმოქმედებიანი პიესა ერთმოქმედებიან დადგმად აქცია და ფილოსოფიური კარნავალი შექმნა, რომელშიც პროსპერო ერთსა და იმავე დროს შექსპირის alter ego-ცაა და თავად მისი alter ego-ც. მთლიანობაში კი იგი არის რეჟისორი იმ სიმულაკრული რეალობის, რომელიც კუნძულზე გათამაშდა.

ორივე ადაპტაცია ხაზს უსვამს შეუსაბამობას რეალობასა და ილუზორულს შორის და გვაჩვენებს, რომ მოქმედი პირები თავ-თავის საკუთარ ილუზორულ სამყაროებში ცხოვრობენ (მირანდას ნაივური ილუზიები, კალიბანის სიზმარი, პროსპერო, როგორც რეჟისორი და სხვ).

at Fletcher County Correctional Institution and directs the performance of 'The Tempest' with prisoners. Through her narrative, Atwood explores the layers of reality and illusion and shows how simulacrum displaces reality by magic created by means of modern technologies: modern Ariel is a hacker and goddesses of the Mask are represented by Disney Princesses (Both Ecco and Baudrillard considered Disneyland as the best example of hyperreality).

Robert Sturua staged "The Tempest" at the Et Cetera Theatre after being dismissed from his native Rustaveli Theatre, because of his criticism of the president of Georgia. Sturua's adaptation reduces Shakespeare's five-act play into one, creating a philosophical Carnival where Prospero serves as both Shakespeare's alter ego and the director's alter ego. He is the one who directs the simulacra staged on the island.

Both adaptations emphasize the theme of the discrepancy between appearance and reality, with characters living in their own realities/ illusions (Miranda's naïve illusions, Caliban's dream, etc.). This theme questions the boundaries between reality and illusion within the context of theater, the art form where simulacrum displaces reality. This assertion challenges conventional notions of reality and reinforces the idea that theater is a space for exploring and experiencing true illusions.



სოფია ნადიბაიძე
თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოწვეული ლექტორი

SOPHIA NADIBAIDZE
Theatre Scholar, PhD Candidate and Guest Lecturer at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

იან კლატას თანამედროვე შექსპირი

პოლონელი რეჟისორი იან კლატა შექსპირის კლასიკურ პიესებს თანამედროვე კონტექსტში გაიაზრებს და მათი მეშვეობით ძალაუფლებისა და პოლიტიკის დინამიკას იკვლევს. მისი გამორჩეული რეჟისორული ხედვა სცენაზე აცოცხლებს პოლიტიკურ დაპირისპირებებსა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის მექანიზმებს, რომლებიც მაყურებლის თვალწინ იშლება. კლატას სპექტაკლები წარმოაჩენს შექსპირის შემოქმედების უწყვეტ აქტუალობას თანამედროვე სამყაროში და გვთავაზობს პოლიტიკური სისტემებისა და ძალაუფლებრივი ურთიერთობების კრიტიკულ გააზრებას.

მოხსენება შეეხება იან კლატას რეჟისორულ მეთოდსა და შემოქმედებით მიდგომას, რომლებიც შექსპირის დრამატურგიას თანამედროვე გლობალური პოლიტიკის კონტექსტში წარმოაჩენს. იგი განიხილავს, თუ როგორ ეხმიანება კლასიკური ტექსტები დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას და როგორ წარმოაჩენს შექსპირის დრამატურგია ძალაუფლების მექანიზმებსა და პოლიტიკისა და თეატრის ურთიერთმიმართებას.

JAN KLATA'S CONTEMPORARY SHAKESPEARE

Polish director Jan Klata re-examines Shakespeare's canonical works in the context of contemporary political realities, exploring the shifting dynamics of power and politics. Through his distinctive directorial vision, political tensions, ideological conflicts, and mechanisms of power are brought to life on stage. Klata's productions highlight the enduring relevance of Shakespeare's work, offering a critical perspective on political systems, structures of authority, and the relationships through which power is exercised.

The presentation will explore Klata's directorial approach and creative process, focusing on how he situates Shakespeare's dramaturgy within the broader framework of contemporary global politics. It will explore how Shakespeare's texts resonate with present-day political realities, revealing the enduring mechanisms of power and the complex interplay between politics and performance.



დ. ლენს მარში, MFA

თეატრის პროფესორი და სასცენო ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი
ოკლაჰომა-სიტის უნივერსიტეტის თეატრის სკოლა

D. LANCE MARSH, MFA

Professor of Theatre and Head of Performance
Oklahoma City University,
School of Theatre

რატომ აღმოაჩენს ყოველი თაობა შექსპირს ხელახლა?

მარგინალის პერსპექტივა მარგინალებზე

თავისი თანამედროვეებისგან განსხვავებით, შექსპირი ინტერესდებოდა რთული, მრავალშრიანი პერსონაჟების შექმნით, რომლებიც ელიზაბეთური ეპოქის საზოგადოებაში გარიყულ მდგომარეობაში იყვნენ. ჩემს მოხსენებაში ვეცდები დავასაბუთო, რომ თავად შექსპირის, სავარაუდოდ, დაფარული რელიგიური შეხედულებები და მისი ხშირი ყოფნა საზოგადოებრივი ცხოვრების მარგინალურ სივრცეებში დაეხმარა ისეთი პერსონაჟების შექმნაში, რომლებმაც სხვადასხვა კულტურასა და ისტორიულ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებზე ძლიერი გავლენა მოახდინეს.

WHY EVERY GENERATION STILL FINDS SHAKESPEARE:

An Outsider on Outsiders

Unlike many of his contemporaries, Shakespeare was interested in creating nuanced characters who inhabited outsider status in Elizabethan society. I will make the case that his own likely closeted religious beliefs and his regular inhabitation of outsider spaces allowed him to create a stable of characters that have resonated across cultures and time periods.

იან კოტის წიგნის „შექსპირი, ჩვენი თანამედროვე“ ქართულენოვანი გამოცემის წარდგენა

26 ნოემბერი
18^{00}–19^{00}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის გამზ. № 19



© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2026
წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.
გამოცემა მომზადდა © POLAND მთარგმნელობითი პროგრამის მხარდაჭერით.

საგამომცემლო პროექტის ავტორი
ანა კვინიკაძე
მთარგმნელი
ქეთევან ქანთარია
რედაქტორები
მარინე (მაკა) ვასაძე, ანა კვინიკაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეკატერინე ოქროპირიძე
კორექტორი
მანანა სანადირაძე

წიგნის აღწერა:

„იან კოტის „შექსპირი, ჩვენი თანამედროვე“ XX საუკუნის თეატრალური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წიგნია, რომელმაც არა მხოლოდ შექსპირის, არამედ თავად თეატრის აღქმაც შეცვალა. კოტმა შექსპირი ისტორიული წარსულიდან თანამედროვე სამყაროში გამოიხმო - სამყაროში, სადაც ძალაუფლება, ძალადობა, შიში, სურვილი, ამბოხი და ადამიანის მარტოობა ისეთივე ხელშესახებია, როგორც მის პიესებში. მისმა რადიკალურმა ხედვამ განსაკუთრებული გავლენა იქონია XX საუკუნის თეატრზე და შექსპირის დასავლურ სცენურ ინტერპრეტაციებზე.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ კოტის წიგნი კვლავ ისეთივე მწვავე და აქტუალურია, როგორც მისი შექმნის დროს. ისტორია იცვლება, მაგრამ მისი „დიდი მექანიზმი“ კვლავ მოქმედებს. ომები, პოლიტიკური დაპირისპირებები და ისტორიის ძველი ტრავმები ისევ განსაზღვრავს ჩვენს აწმყოს - და შექსპირიც კვლავ ჩვენი თანამედროვეა.

ქართულ ენაზე პირველად გამოცემული ეს წიგნი მნიშვნელოვანი კულტურული დანაკლისის ანაზღაურებაა და ქართულ თეატრსა და მის ახალ თაობას შესაძლებლობას აძლევს, შექსპირი საკუთარი დროის პერსპექტივიდან თავიდან აღმოაჩინოს და კოტის მემკვიდრეობა ახალი თეატრალური გამოცდილებით გააგრძელოს“. - **ანა კვინიკაძე**

BOOK PRESENTATION:
THE FIRST GEORGIAN TRANSLATION OF JAN KOTT'S *SHAKESPEARE OUR CONTEMPORARY*

26 November
18^{00}–19^{00}

Shota Rustaveli Theatre and
Film Georgia State University,

19, Shota Rustaveli Ave.



Publishing Project Author:
ANA KVINIKADZE
Translator:
KETEVAN KANTARIA
Editors:
MARINE (MAKA) VASADZE, ANA KVINIKADZE
Technical Support:
EKATERINE OKROPIRIDZE
Proofreader:
MANANA SANADIRADZE

© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri", 2026
This book was published with the support of the Ministry of Culture of Georgia.
This publication was produced with the support of the ©POLAND Translation Programme.

BOOK DESCRIPTION:

"Jan Kott's *Shakespeare Our Contemporary* is one of the most influential works of twentieth-century theatre criticism, a book that transformed not only the way Shakespeare is understood but also the very experience of theatre. In his seminal study, Kott brought Shakespeare into direct dialogue with the modern world – a world shaped by power, violence, fear, desire, rebellion and human isolation, all of which are as palpable in our world as they are in Shakespeare's plays. His radical interpretative approach profoundly influenced twentieth-century theatre, leaving a lasting mark on the history of Shakespearean performance on Western stages.

More than half a century after its publication, Kott's work remains as incisive and relevant as when it first appeared. History changes, but the "Grand Mechanism" continues to function. Wars, political conflicts and the unresolved traumas of the past still shape our present, thus Shakespeare remains our contemporary.

Published in Georgian for the first time, this landmark work fills an important gap in Georgia's cultural and intellectual landscape. It offers Georgian theatre practitioners, scholars and students the opportunity to rediscover Shakespeare from their own historical perspective and to celebrate Kott's intellectual legacy through new forms of theatrical thought and practice." – **Ana Kvinikadze**

პანელური დისკუსია:
„შექსპირი ქართულ ენაზე: თარგმნის ისტორია და კულტურული გავლენა“

PANEL DISCUSSION:
SHAKESPEARE IN GEORGIAN: HISTORY AND CULTURAL IMPACT OF TRANSLATIONS

27 ნოემბერი | November
12^{00}–13^{00}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის გამზ. № 19

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,

19, Shota Rustaveli Ave.

ღონისძიების აღწერა:

პანელზე განხილული იქნება შექსპირის თარგმანის ისტორია საქართველოში, მთარგმნელების წვლილი, თარგმანის მნიშვნელობა ქართული თეატრისა და კულტურისათვის.

EVENT DESCRIPTION:

The panel will examine the history of Shakespearean translation in Georgia, the contributions of translators to this tradition, and the role of translation in shaping Georgian theatre and culture.

მანანა გელაშვილი
MANANA GELASHVILI



ქეთევან გრძელიძე
KETEVAN GRDZELIDZE



პანელური დისკუსია:
„შექსპირის ფესტივალები და ფესტივალების შექსპირი: ერთიანობა მთელ მსოფლიოში“

PANEL DISCUSSION:
FESTIVALS OF SHAKESPEARE, SHAKESPEARE OF FESTIVALS: TOGETHERNESS AROUND THE GLOBE

27 ნოემბერი | 27 November
13^{00}–14^{30}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის გამზ. № 19

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
19, Shota Rustaveli Ave.



ფილიპ პარი
PHILIP PAR



ვლად დრაგულესკუ
VLAD DRAGULESCU



ოქტავიან საიუ
OCTAVIAN SAIU



ქეთი დოლიძე
KETI DOLIDZE



სოფიო თორთლაძე
SOPHIO TORTLADZE

„ხელოვნური ინტელექტის ეპოქა ჯერ მხოლოდ გვიახლოვდება, თუმცა უკვე გარდაუვლად იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა თეატრს უცვლელად დარჩეს, თუკი თავად კაცობრიობა იცვლება? ამას მრავალი სხვა, მასთან დაკავშირებული საკითხიც მოსდევს: რამდენად უნდა მოერგოს სასცენო გამოხატვის ფორმები ახალი თაობების აღქმისა და მგრძნობელობის თავისებურებებს? უნდა გახდეს თუ არა საშემსრულებლო ხელოვნება, თუნდაც ნაწილობრივ, ციფრული? შეძლებს თუ არა მაყურებელი, მთელი წარმოდგენის განმავლობაში შეინარჩუნოს ყურადღება? ხომ არ გაქრება დრამატული ხელოვნება საერთოდ? და, რაც მთავარია, როგორ შეგვიძლია მისი ფუნდამენტური ღირებულებების შენარჩუნება?

არსებობს ერთი კითხვა, რომლის მნიშვნელობაც ხელოვნური ინტელექტის შესახებ დისკუსიას სცდება: კვლავ გვჭირდება თუ არა ერთად ყოფნა მაშინ, როდესაც ჩვენს ერთობას იდეოლოგიური მრწამსი აღარ განაპირობებს? ერთი შეხედვით, ეს შესაძლოა ყველაზე აქტუალურ საკითხად არ მოგვეჩვენოს, თუმცა მისი მნიშვნელობა უშუალოდ უკავშირდება ნებისმიერი მნიშვნელოვანი კულტურული პროგრამის საფუძველს – ადამიანთა ერთობას, რომელთაც საერთო სულიერი გამოცდილებისა და ინტერესების გაზიარების სურვილი აერთიანებთ.

შექსპირის ფესტივალები მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის მემკვიდრეობის აღსანიშნავად იმართება, თუმცა მათი დანიშნულება მხოლოდ წარსულის პატივისცემით არ შემოიფარგლება. მათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ: შეახსენონ საზოგადოებას, რომ შექსპირი დღესაც მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია თეატრიც! რუმინეთის ქალაქ კრაიოვაში ჩამოყალიბებული განსაკუთრებული კულტურული ფენომენი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ამგვარმა სტრატეგიამ სხვადასხვა საზოგადოებასა და ადამიანთა ჯგუფში შთამბეჭდავი შედეგები მოიტანოს. ამ სესიაზე განვიხილავთ, თუ როგორ შეუძლიათ ფესტივალებს, თანამედროვე გამოწვევების პირობებში, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება; რა როლი შეიძლება შეასრულოს შექსპირმა ამ პროცესში და რატომ განაგრძობს მისი შემოქმედება ადამიანთა შორის ერთიანობის განსაკუთრებული განცდის გაღვივებას – განცდისა, რომელსაც შესაძლოა ხელოვნური ინტელექტის რევოლუციით გამოწვეული ახალი გამოწვევების დაძლევაც კი შეეძლოს.“ – **ოქტავიან საიუ**

“As the age of AI is merely looming upon us, one question emerges. Imperatively. Can theatre remain the same, if humanity changes? A lot of other, subsequent issues follow... Should the modes of stage expression be more closely attuned to the sensibilities of new generations? Are performing arts supposed to become digital, at least partially? Can spectators concentrate for the duration of a show? Will dramatic art disappear altogether? How can we uphold its core values?

One such interrogation has meaning beyond the debate around AI: do we still need to be together, if we are not motivated by ideological convictions? This may not seem the most urgent of questions, but its implications touch upon the core belief of any important cultural programme, which is meant for people sharing the same spiritual pleasure and pursuits.

Shakespeare Festivals exist to celebrate the legacy of the world’s greatest playwright, but they also have another mission. That is, to remind everyone that Shakespeare matters, and for that reason, theatre matters! The miracle of Craiova in Romania is clearly an example of how this strategy can yield remarkable results across various communities. This session will explore the ways in which festivals can survive, the role Shakespeare might play in that process, and the reasons why he continues to inspire a unique sense of togetherness that may well defy the emerging challenges of the AI revolution.” – Octavian Saiu

მანანა ანასაშვილის ლექცია (სტუდენტებისთვის): „პირველი ფოლიო - 1623“

LECTURE BY MANANA ANASASHVILI *(FOR STUDENTS): THE FIRST FOLIO - 1623*



27 ნოემბერი | 27 November
14^{30}–15^{30}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის გამზ. № 19

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
19, Shota Rustaveli Ave.

„2020 წლის 14 ოქტომბერს, ნიუ-იორკში, კრისტის აუქციონზე ანტიკვარული წიგნი 10 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ მიაპყრო საზოგადოების ყურადღება 1623 წელს გამოცემული წიგნისადმი, რომელსაც მთელი კულტურული მსოფლიო შექსპირის „პირველი ფოლიოს“ (First Folio) სახელით იცნობს და რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ წიგნად ითვლება. 2023 წელს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა „პირველი ფოლიოს“ გამოცემიდან 400 წლის იუბილე.

„პირველი ფოლიო“ რომ არა, რომელიც შექსპირის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ გამოიცა, დღეს კაცობრიობას დაკარგული ექნებოდა შექსპირის 18 პიესის ტექსტი. ლექცია მსმენელებს გააცნობს წიგნის შექმნის ისტორიას: რატომ ეწოდა მას „პირველი ფოლიო“, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა მისი გამოცემა და როგორ განხორციელდა ეს მნიშვნელოვანი საქმე XVII საუკუნის დასაწყისში.

ლექციაზე ასევე ვისაუბრებთ ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებზე, რომელთა საქმიანობამაც ხელი შეუწყო იმ თეატრების არსებობას, სადაც შექსპირი მოღვაწეობდა, და რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავად „პირველი ფოლიოს“ გამოცემაშიც. მსმენელები გაეცნობიან აგრეთვე წიგნთან და შექსპირის პიესებთან დაკავშირებულ სხვა ნაკლებად ცნობილ ფაქტებსა და დეტალებს.“ - **მანანა ანასაშვილი**

“On October 14, 2020, an antique book was sold for $10 million at a Christie’s auction in New York. This event once again drew the public’s attention to the 1623 publication known to the entire cultural world as Shakespeare’s “First Folio,” which is considered the most expensive book in the world. In 2023, the world celebrated the 400th anniversary of the publication of the “First Folio.”

Were it not for the “First Folio,” published seven years after Shakespeare’s death, humanity today would have lost the texts of 18 of Shakespeare’s plays. The lecture will introduce the audience to the history of the book’s creation: why it was named the “First Folio,” who the people were whose efforts made its publication possible, and how this significant undertaking was carried out in the early 17th century.

The lecture will also explore key figures of the era whose work contributed to the existence of the theaters where Shakespeare worked, and who played an important role in bringing the First Folio to publication. The audience will discover further fascinating facts and details about this landmark edition. Attendees will also learn about other lesser-known facts and details related to the book and Shakespeare’s plays.” – Manana Anasashvili

ელგუჯა ხინთიბიძის ლექცია:
„რუსთველის *ვეფხისტყაოსანი* - შექსპირისა და მისი ეპოქის ინგლისური დრამატურგიის ლიტერატურული წყარო“

LECTURE BY ELGUJA KHINTIBIDZE: *RUSTAVELI'S 'THE MAN IN A PANTHER-SKIN' - A LITERARY SOURCE FOR SHAKESPEARE AND THE ENGLISH DRAMA OF HIS ERA*



27 ნოემბერი | 27 November
15^{30}–16^{30}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის გამზ. № 19

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
19, Shota Rustaveli Ave.

„რუსთველის პოემა არა მხოლოდ თავისი იდეურ-მსოფლმხედველობითი პრობლემატიკით ეხმიანება და შეესიტყვება შუა საუკუნეების და რენესანსული ეპოქის ევროპული აზროვნების პროცესს, არამედ უშუალოდ და ორგანულადაა კავშირში ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან. ვეფხისტყაოსანი ყოფილა XVII საუკუნის დასაწყისის დიდი ინგლისური დრამატურგიის და თვით ევროპული რენესანსული ლიტერატურის უმაღლესი გამოვლინების - შექსპირის ერთ-ერთი ლიტერატურული წყარო.

XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის სამეფო თეატრალური დასის დრამატურგთა გარკვეული წრისთვის სრულყოფილადაა ცნობილი შუასაუკუნეების ქართული რაინდული რომანის ვეფხისტყაოსნის პროტაგონისტთა - ნესტანისა და ტარიელის სასიყვარულო თავგადასავალი. ჯონ ბომონტისა და ფრანსის ფლეტჩერის ორი პიესის მეფე და არა მეფის და ფილასტერის სიუჟეტის ძირითადი ხაზი ამ ლიტერატურული წყაროს ფაბულის სხვა გარემოში და სხვა პერსონაჟებზე გადატანაა. შექსპირის ციმბელინის როგორც თემა, განვითარების დეტალებითურთ, და კომპოზიცია, ასევე იდეურ-თემატური ჩანაფიქრი იმავე წყაროდან მომდინარეობს. ხოლო მისი შემოქმედების ბოლო პერიოდის სხვა პიესებში შეინიშნება რემინისცენციები რუსთველის რომანის კომპოზიციური და სიუჟეტური დეტალებისა.“ - **ელგუჯა ხინთიბიძე**

“Rustaveli's *The Man in a Panther-Skin,* a medieval Georgian chivalric romance, not only resonates and engages with the intellectual and philosophical currents of European thought during the Middle Ages and the Renaissance, but it is also directly and organically connected to the European literary world. The poem served as a literary source for the great English drama of the early 17th century and even for Shakespeare, the pinnacle of European Renaissance literature.

Romantic relations between Nestan and Tariel, the main characters of *The Man in a Panther-Skin,* must have been known to certain circles of English dramatists in the early 17th century. The main plotlines of two Beaumont and Fletcher plays, *A King and No King* and *Philaster*, appear to transfer this literary source's plot to a different setting with different characters. The same source also seems to have provided the framework, as well as the main idea and subject matter, for *Shakespeare's* Cymbeline. Furthermore, reminiscences of the Georgian romance can be discerned in the compositional features and plot details of other Shakespearean later-period plays.” - **Elguja Khintibidze**

ოქტავიან საიუს ლექცია:
„დანარჩენი სიგიჟეა: ჰამლეტი - ჩვენი მუდმივი თანამედროვე“

27 ნოემბერი
16^{30}–17^{30}



შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის გამზ. № 19

ჰამლეტი
და
სამყაროს სიგიჟე

ოქტავიან საიუ

„ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ჰამლეტი - როგორც პიესა და როგორც პერსონაჟი - ისტორიისა და პოლიტიკის რთული პერიპეტიებისგან განუყოფელია. ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ფრაზა „რაღაც დამპალა დანიის სამეფოში” განსაკუთრებით აქტუალურ და მძლავრ გზავნილად იქცა - იგი ბევრად უფრო მძაფრად ჟღერდა, ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი დილემა: „ყოფნა თუ არყოფნა“. ამ სიტყვების გამანადგურებელი ექო დღესაც ძლიერად გაისმის, საბჭოთა კავშირის დაშლიდან ათწლეულების შემდეგაც, ქვეყანაში, რომელიც ერთდროულად განიცდის არცთუ შორეული წარსულის საფრთხეებსა და დღევანდელობის გამოწვევებს. აქ, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპად წოდებული რეგიონის სხვა ქვეყნებში, ჰამლეტი იდეალიზებული ახალგაზრდა გმირია, რომელსაც ძალაუფლება თრგუნავს და რომლის ხმასაც ახშობს სწორედ ის იერარქიული სისტემა, რომლის დამხობასაც იგი ამაოდ ცდილობს.

ლექცია შემოგთავაზებთ განსხვავებულ და, შესაძლოა, დამაფიქრებელ ხედვას „ჰამლეტზე“ - ძალაუფლების შესახებ შექმნილ პიესასა და მის მთავარ პერსონაჟზე, რომელიც თითქოს მუდამ მზად არის ძალაუფლებას დაუპირისპირდეს. მსჯელობის ცენტრალური საკითხია ნაწარმოების ყველაზე საკამათო და რთული ასპექტი, რომელზეც დღემდე არ არსებობს ცალსახა პასუხი: ჰამლეტი მართლაც შეშლილია თუ სიგიჟეს თამაშობს? ხანგრძლივი და მყარად დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, იგი საღი აზროვნებისა და გონებრივი სიცხადის განსახიერებაა. თუმცა ზოგიერთი თანამედროვე რეჟისორი ამ მოსაზრებას რადიკალურად უპირისპირდება. ვინ არის მართალი და ვინ ცდება ჰამლეტის მოუსვენარი გონების შესახებ კამათში? და რატომ შეიძლება მის გამარჯვებად ჩაითვალოს თავად ის ფაქტი, რომ დღემდე ვმსჯელობთ ამ საკითხზე? მართლაც, როგორც ჰამლეტს, შესაძლოა, თავადაც ჰქონდა განჭვრეტილი, დანარჩენი არასოდეს არის დუმილი.“ - **ოქტავიან საიუ**

LECTURE BY OCTAVIAN SAIU:
THE REST IS MADNESS:
HAMLET, FOREVER OUR CONTEMPORARY

27 November
16^{30}–17^{30}

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgia State University,

19, Shota Rustaveli Ave.



ჰამლეტი
და
სამყაროს სიბრიყე


ოქტავიან საიუ

"In a place like Georgia, Hamlet – the play and the character – can never be separated from the intricacies of history and politics. At some moment in time, "Something is rotten in the state of Denmark" became the most powerfully contemporary line, far more impactful than the universally meaningful "To be or not to be". Its shattering reverberations are still strong today, decades after the end of the Soviet Union, in a place that feels the dangers of a not-too-distant past as well as those of an ever-so-close present. Here, as much as everywhere else in the area known as Eastern Europe, Hamlet is the idealized young hero crushed by authority, silenced by the very hierarchy he tries in vain to subvert.

This presentation will offer a contrasting and perhaps sobering view on *Hamlet*, the play about power, and Hamlet, the character who seems always ready to confront it. The central argument gravitates around the most contentious and complicated aspect of the story, the only one that cannot be definitively clarified, even today: is Hamlet mad or is he merely pretending to be? According to a long and reputable tradition, he is the epitome of sanity and lucidity. Some contemporary directors seem to disagree, radically. Who is right and who is wrong in the debate about Hamlet's restless mind and why is it a victory for him that we are still wondering? Indeed, as he perhaps envisaged, the rest is never silence." – Octavian Saiu

სპექტაკლი: „ჰამლეტი“

27 ნოემბერი
20^{00}–20^{50}



მოძრაობის თეატრი

მუშტაიდის ბაღი, აღმაშენებლის #182

რეჟისორი: **კახა ბაკურაძე**

ქორეოგრაფი: **ლაშა რობაქიძე**

კომპოზიტორი: **სანდრო ნიკოლაძე**

მონაწილეობენ: **გიორგი ჯიქურიძე, ლაშა რობაქიძე, ნოდარ სამთელაძე, რაჟდენ ლაღაძე, მარიამ ავალიანი**

ტექნიკური რეჟისორი: **ნათია შაორშაძე**

განათება: **ეკატერინე ჯაფარიძე, გიორგი დანელია**

პროდიუსერები: **ანა გოგიშვილი, თენგიზ ხუხია, ნათია შაორშაძე**

ვიდეო: **ავთანდილ ხორავა**

„მიიღეთ ეს მანიფესტი, როგორც პროვოკაცია! როგორც გამოწვევა ყველასთვის, ვისაც ჰგონია, რომ დიდი დრამატურგიის სათამაშოდ სიტყვებია საჭირო!

ჩვენ ვაცხადებთ: შეგვიძლია ყველაფერი ვითამაშოთ – უსიტყვოდ!

ჩვენ დიდებული შექსპირის დიდებულ „ჰამლეტს“ უსიტყვოდ ვითამაშებთ!

დიახ! ჩვენ გავბედავთ იმას, რაც ბევრისთვის წარმოუდგენელია – დანიის პრინცის ტრაგედიას მხოლოდ ქმედებით მოგიყვებით!

არ იქნება მონოლოგები!

არც დიალოგები!

არც ერთი წარმოთქმული სიტყვა!

იქნება შექსპირი – შექსპირის სიტყვების გარეშე!

როცა ჰამლეტი დასვამს კაცობრიობის ყველაზე ცნობილ კითხვას – „ყოფნა თუ არყოფნა?“ – ჩვენ მას არ წარმოვთქვამთ.


ჩვენ მას ვითამაშებთ!

ჩვენ ვართ მოძრაობის თეატრი!

სიტყვები თქვენთვის დაგვითმია. სცენა – ჩვენია!“

PERFORMANCE: *HAMLET*

27 November
20^{00}–20^{50}



Movement Theatre

Agmashenebeli St. #182, Mushtaidi Garden

Director: **Kakha Bakuradze**
Choreographer: **Lasha Robakidze**
Composer: **Sandro Nikoladze**
Cast: **Giorgi Jiquridze, Lasha Robakidze, Nodar Samteladze, Razhden Laghadze, Mariam Avaliani**
Technical Director: **Natia Shaorshadze**
Lighting: **Ekaterine Japaridze, Giorgi Danelia**
Producers: **Ana Gogishvili, Tengiz Khukhia, Natia Shaorshadze**
Cinematography: **Avtandil Khorava**

"Take this manifesto as a provocation! As a challenge to everyone who believes that great drama needs words to be performed!

We declare: We can perform anything – without a single word!

We will perform the great Shakespeare's magnificent "Hamlet" – without words!

Yes! We dare to do what many consider unimaginable – we will tell the tragedy of the Prince of Denmark through action alone!

No monologues!

No dialogues!

Not a single spoken word!

Shakespeare – without Shakespeare's words!

When Hamlet confronts humanity's most famous question – "To be or not to be?" – we will not speak it.

We will perform it!

We are Movement Theatre!

We leave the words to you. The stage is ours!"

ფილიპ პარის სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან: „შექსპირთან ერთად: თამაში და დადგმა“

WORKSHOP BY PHILIP PARR (FOR STUDENTS): *ACTING AND DIRECTING WITH SHAKESPEARE*

28 ნოემბერი | November
10^{00}–11^{30}

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის გამზ. № 19

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
19, Shota Rustaveli Ave.



Photo © Greg Goodale

სამუშაო შეხვედრის მიზანია შექსპირის ტექსტების შესწავლა და მათში დაფარული მინიშნებებისა და შემოქმედებითი გზამკვლევების აღმოჩენა. წავიკითხავთ და გავაანალიზებთ რამდენიმე ტექსტს, შემდეგ კი განვიხილავთ, თუ როგორ იყენებს შექსპირი ენას, რიტმსა და რითმას პიესებისა და ამბების სტრუქტურის შესაქმნელად, აგრეთვე მსახიობებისა და მაყურებლის წარმოსახვის წარმართვისთვის. ვიმუშავებთ ინგლისურენოვან ტექსტებზე. მონაწილეებს ასევე ვთავაზობთ, დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება შექსპირის ტექსტების სტრუქტურის გააზრება დაეხმაროს მათ, ვინც შექსპირის ნაწარმოებების თარგმანებზე მუშაობს.

სამუშაო შეხვედრა მოიცავს როგორც დისკუსიას, ასევე პრაქტიკულ ნაწილს.

The workshop will introduce the task of exploring Shakespeare’s texts to find the clues and guidance hidden there. We will read and analyse some texts and then see how Shakespeare uses language and rhythm and rhyme to structure each play, each story, and to steer actors and audience. We will work with texts in English, and you are invited to think how this structure of Shakespeare’s writing can best inform anyone who is working with Shakespeare in translation.

The workshop will involve both talking and moving.

პროგრამის მონაწილეები
PROGRAMME PARTICIPANTS

ოქტავიან საიუ



რუმინელი თეატრის მკვლევარი და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალისტი, თეატროლოგიის დოქტორი. პირველი დისერტაცია („თეატრალური სივრცის შესახებ“) დაიცვა რუმინეთის თეატრისა და კინოს ეროვნულ უნივერსიტეტში (NUTF); ამასთან, ფლობს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორის ხარისხსაც, რომელიც მიენიჭა სემუელ ბეკეტისა და ეჟენ იონესკოს შესახებ დაწერილი დისერტაციისათვის ახალი ზელანდიის ოტაგოს უნივერსიტეტში. საიუმ ოტაგოს უნივერსიტეტშივე განაგრძო თანამედროვე ლიტერატურის კვლევა და პოსტ-სადოქტორო მუშაობის დასრულებისას თეატრალური და საშემსრულებლო ხელოვნების დოქტორი ჰაბილიტუსის (Dr. Habil.) წოდებაც მიიღო. დოქტორი საიუ სინგაპურის ნანიანგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა (Nanyang Technological University Singapore) და სიბიუს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლაში (Doctoral School of Sibiu University) უწყვეტად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ლონდონის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სკოლის სტიპენდიატი; ამჟამად ტოკიოს, პეკინისა და ლისაბონის უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორია; ატარებს ლექციებსა და მასტერკლასებს ევროპის, აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, ასევე გროტოვსკის ინსტიტუტში.

ოქტავიან საიუ, კონფერენციის თავმჯდომარისა თუ მოწვეული სპიკერის რანგში, აქტიურად იყო ჩართული რამდენიმე საკვანძო თეატრალური და აკადემიური ღონისძიების განხორციელების პროცესში, მათ შორის: თეატრალური ოლიმპიადა (Theatre Olympics), ვუჟენის თეატრალური ფესტივალი (Wuzhen Theatre Festival); ასევე ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი (Edinburgh International Festival); 2013 წლის ედინბურგის ფესტივალზე საიუ უძღვებოდა სემუელ ბეკეტისადმი მიძღვნილ კონფერენციას. 2004 წლიდან უძღვება სიბიუს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის (Sibiu International Theatre Festival) კონფერენციებს. წლების განმავლობაში არაერთი დიალოგი წარმართა თეატრალური ხელოვნების გამორჩეულ წარმომადგენლებთან: ოჰად ნაჰარინი, აკრამ ხანი, საშა ვალცი, რობერტ უილსონი, რობერტ ლეპაჟი, რიმინი პროტოკოლი, თომას ოსტერმაიერი, ივო ვან ჰოვე და სხვები.

დოქტორი საიუ საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული არაერთი სტატიისა და თეატრთან დაკავშირებული თხუთმეტი წიგნის ავტორია.

2010 წელს დაჯილდოვდა „კრიტიკოსთა პრემიით“ (Critics’ Award); 2013 წელს გადაეცა თეატრის ხელოვანთა კავშირის (UNITER) ჯილდო. 2020 წელს, კულტურის ეროვნულ დღეს, რუმინეთის პრეზიდენტმა საიუს გადასცა ღირსების ორდენი კულტურის წინაშე დამსახურებისათვის. დოქტორი საიუ ასევე თეატრის ლიდერთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Theatre Leaders - IATL) დამფუძნებელი და პრეზიდენტია. 2024 წელს რუმინეთის კულტურის სამინისტრომ საიუს საპატიო ჯილდო გადასცა თეატრის ლიდერობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

OCTAVIAN SAIU



Professor Octavian Saiu is a scholar and a global facilitator of cultural exchanges. He holds a PhD in Theatre Studies from National University of Theatre and Film (NUTF) in Romania, with a thesis about theatrical space, and another PhD in Comparative Literature from the University of Otago in New Zealand, with a thesis about Samuel Beckett and Eugène Ionesco. He completed his Post-Doc in Modern Literature at the University of Otago, and has been awarded his Habilitation in Theatre and Performing Arts. He teaches constantly in the Postgraduate Programmes of the Doctoral School of Sibiu University, and serves as a Visiting Professor in the Department of English, School of Humanities, Nanyang Technological University, Singapore. He was Visiting Fellow at the University of London, School of Advanced Study, and is Visiting Professor at universities in Tokyo, Beijing and Lisbon. He has offered master classes at other universities in Europe, Africa, Asia, and the Middle East, as well as the Grotowski Institute.

He has been actively involved, as Conference Chair and Invited Speaker, in several major theatre and academic events around the world, including the Theatre Olympics, Wuzhen Theatre Festival, as well as Edinburgh International Festival, where he was Chair of the Samuel Beckett Conference in 2013. Since 2004 he has been Chair of the Conferences of Sibiu International Theatre Festival. Throughout the years, he has hosted dialogues and conferences with hundreds of major theatre artists, from Ohad Naharin, Akram Khan and Sasha Waltz to Robert Wilson, Robert Lepage, Thomas Ostermeier and Ivo van Hove.

He has published academic articles in several international journals, as well as fifteen books on theatre.

He received the Critics' Award in 2010 and the Award of the Union of Theatre Artists (UNITER) in 2013. In 2020, on the National Day of Culture, the President of Romania awarded him the Order of Cultural Merit. He is the Founder and President of the International Association of Theatre Leaders (IATL). In 2024, he received the Honorary Award from the Ministry of Culture of Romania, in recognition of his transformative role in theatre leadership.

ანა კოვალჩე-პავლიკი
ANNA KOWALCZE-PAWLIK



ანა კოვალჩე-პავლიკი (PhD), ლოძის უნივერსიტეტის საერთაშორისო და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. იგი კითხულობს ლექციებს ლიტერატურისა და კულტურის კვლევების მიმართულებით და ამავდროულად არის ჟურნალ *Multicultural Shakespeare*-ის რედაქტორის მოადგილე. იგი პოლონეთის შექსპირის ასოციაციის გამგეობის წევრი იყო, 2024 წელს კი ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები ეძღვნება შექსპირის ნაწარმოებების თარგმნისა და სცენური ინტერპრეტაციის საკითხებს, მონსტრისა და მონსტრობის ისტორიასა და ემოციების კულტურულ ისტორიას. იგი შექსპირის ევროპული ფესტივალების ქსელის (ESFN) მრჩეველია და ევროპის შექსპირის კვლევების ასოციაციის (ESRA) სემინარების ფარგლებში თანამშრომლობს ამავე ქსელის წევრ ფესტივალებთან.

Anna Kowalcze-Pawlik (Ph.D.) is an Assistant Professor at the Department of American Studies and Mass Media at the Faculty of International and Political Studies, University of Lodz, where she teaches literary and cultural studies and serves as deputy editor of *Multicultural Shakespeare.* She has served as a board member of the Polish Shakespeare Association, of which she was elected president in 2024. She has published on Shakespeare in translation and performance, the history of monstrosity and the cultural history of emotions. She supports the European Shakespeare Festivals Network as an advisor and co-operates with ESFN festivals within the European Shakespeare Research Association seminar series.

ფილიპ პარი



Photo © Greg Goodale

ფილიპ პარი თეატრისა და ოპერის რეჟისორია. მისი შემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს როგორც დამოუკიდებელ თეატრალურ პროექტებსა და საერთაშორისო ფესტივალებს, ისე მასშტაბურ სათემო თეატრალურ დადგმებს დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ორგანიზაცია „პარაბოლას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და იორკის შექსპირის საერთაშორისო ფესტივალის დირექტორია. ამასთანავე, ის გლოსტერშირის უნივერსიტეტში კლასიკურ თეატრს ასწავლის. მის ბოლო პერიოდის შექსპირულ ნამუშევრებს შორისაა „ჰენრი V - ადამიანი და მონარქი“ და „ნადიმი: პიესა ერთი კერძის მომზადებისას“, რომელიც შექსპირის პიესების ქალ პერსონაჟებს ეძღვნება. მისი რეპერტუარი ასევე მოიცავს ღია ცის ქვეშ წარმოდგენილ საგასტროლო დადგმებს: „მეთორმეტე ღამე“, „მაკბეტი“, „როგორც გენებოთ“, „რომეო და ჯულიეტა“, „ორი ვერონელიაზნაური“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“. ეს სპექტაკლები რუმინეთის ქალაქ კრაიოვაში, „შექსპირის სოფლისთვის“ შეიქმნა.

მის უფრო მასშტაბურ ნამუშევრებს შორისაა კრაიოვას ფესტივალისთვის შექმნილი შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრისა“ და „რომეო და ჯულიეტას“ კონკრეტულ სივრცეზე მორგებული დადგმები, ასევე „პერიკლე“ და „ზამთრის ზღაპარი“, რომლებიც გდანსკსა და ოსტრავაში დაიდგა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ზამთრის ზღაპრის“ იმერსიული, კონკრეტულ სივრცეზე მორგებული ტრანსსასაზღვრო დადგმა, რომლის დროსაც მსახიობები და მაყურებლები ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის გადაადგილდებოდნენ. გდანსკში წარმოდგენილი პროექტი *შეარყიე შიში / დაანგრიე კედლები* რეალური და წარმოსახვითი საზღვრების თემას იკვლევდა. პროექტში მონაწილეობდნენ ხუთი ევროპული პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი ხელოვანები და პოლონელი სათემო თეატრის მსახიობები.

ფილიპ პარის მიერ დადგმული „პერიკლე, მეფე ტვიროსისა“ 2024 წელს ტიმიშოარაში, უნგრულ სახელმწიფო თეატრში („ჩიკი გერგეი“) დაიდგა და რუმინეთის ეროვნული თეატრალური ფესტივალის პროგრამაში შეირჩა. მისი უახლესი პრემიერა იყო „კოდური სახელი: ოტელო“ - უკრაინელი დრამატურგის, ოლგა ანენკოს, ახალი პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომლის პრემიერაც იორკში გაიმართა. 2027 წელს სპექტაკლი უკრაინაში გასტროლებზე გაემგზავრება. ამჟამად ფილიპ პარი არისტოფანეს კომედიის, „ბაყაყების“, ახალ ინტერპრეტაციაზე მუშაობს, რომელსაც ტარგოვიშტეს ბულანდრას თეატრისთვის დგამს. პარალელურად, ტიმიშოარაში, თეატრ ArteFactum-თან თანამშრომლობით, შექსპირის „ტროილოსისა და კრესიდას“ ერთობლივ დადგმას ახორციელებს.

ფილიპ პარი შექსპირის ფესტივალების ევროპული ქსელის (European Shakespeare Festivals Network) საბჭოს დამფუძნებელი წევრია. 2021 წელს ქსელის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი ხელოვნების სამეფო საზოგადოების (Royal Society of Arts) არჩეული წევრია (Fellow); 2026 წელს კრაიოვას უნივერსიტეტმა მას თეატრისა და შექსპირის საერთაშორისო პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

PHILIP PARR



Photo © Greg Goodale

Alongside a wide-ranging freelance practice as director of theatre, opera and festivals, Philip is Artistic Director of Parrabbola, who make large scale community plays in the UK and across Europe, and Director of the York International Shakespeare Festival. He is also Lecturer in Classical Theatre at the University of Gloucestershire.

Current Shakespeare productions include *Henry V [man and monarch], FEAST: a play in one cooking* - exploring Shakespeare's female characters, and outdoor touring productions of *Twelfth Night, Macbeth, As You Like It, Romeo and Juliet, Two Gentlemen of Verona* and *A Midsummer Night's Dream* – made for the Craiova Shakespeare Village.

Larger work has included a site specific, promenade performances of A Midsummer Night's Dream, and *Romeo and Juliet* for the festival in Craiova, and *Pericles* and *The Winter's Tale* in Gdansk and Ostrava as well as an immersive site-specific cross-border production of The Winter's Tale in which performers and audience travelled between Northern Ireland and the Republic of Ireland. *Shake Fear | Break Walls,* performed in Gdansk, was an exploration of borders real and imagined with artists from five European partners, and community actors from Poland.

Philip's production of *Pericles Prince of Tyre* premiered in 2024 at the Hungarian State Theatre Csiky Gergely in Timisoara and was selected for the National Theatre Festival in Romania. His most recent premiere was *Codename Othello*, a new play by the Ukrainian playwright Olga Annenko, which premiered in York and which travels to Ukraine in 2027. He is currently rehearsing an interpretation of Aristophanes the *Frogs* for the Bulandra Theatre in Targoviste, and *Troilus and Cressida* in a coproduction with Theatre ArteFactum in Timisoara.

Philip is a founding council member of the European Shakespeare Festivals Network and in 2021 was elected Chairman. He is an elected Fellow of the Royal Society of Arts and in 2026 was awarded an Honorary Doctorate from the University of Craiova for his contribution to theatre and International Shakespeare.

ვლად დრაგულესკუ



Photo © Cristi Floriganță

ვლად დრაგულესკუ რუმინეთის ქალაქ კრაიოვას მარინ სორესკუს სახელობის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და კრაიოვას შექსპირის საერთაშორისო ფესტივალის პრეზიდენტია. კულტურის მენეჯმენტსა და სახელოვნებო წარმოებაში მრავალწლიანი გამოცდილების მქონეს არაერთი ეროვნული და საერთაშორისო პროექტი აქვს განხორციელებული. მისი საქმიანობა ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას თეატრალურ ინსტიტუციებს, დამოუკიდებელ ხელოვანებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის.

იგი არის პროექტის *HEKTOMERON – 100 დღე, 100 ამბავი, 100 რეჟისორი 100 ქვეყნიდან* ავტორი. პროექტმა თავისი ორიგინალური კონცეფციისთვის UNITER-ის პრემია მიიღო.

2016 წლიდან დრაგულესკუ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრაიოვას შექსპირის საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო ხედვის ჩამოყალიბებასა და მისი საერთაშორისო მასშტაბის გაფართოებაში. მისი ხელმძღვანელობით, 2026 წლის ფესტივალმა უპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია: 70-ზე მეტ სივრცეში 530 ღონისძიება გაიმართა, რომელშიც 71 ქვეყნის 3 000-ზე მეტმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა. ამ მასშტაბურმა პროგრამამ კიდევ უფრო განამტკიცა ფესტივალის, როგორც შექსპირის შემოქმედების თანამედროვე ინტერპრეტაციების, სახელოვნებო ინოვაციებისა და კულტურათაშორისი გაცვლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პლატფორმის როლი.

2021 წელს ვლად დრაგულესკუ შექსპირის ევროპული ფესტივალების ქსელის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

VLAD DRĂGULESCU



Photo © Cristi Floriganță

Vlad Dragulescu is Director of the Department of Artistic Creation and Research at the Marin Sorescu National Theatre in Craiova, Romania, and President of the Craiova International Shakespeare Festival. With extensive experience in cultural management and artistic production, he has initiated and led numerous national and international projects, fostering collaboration among theatre institutions, independent artists, and local communities.

He is the creator of *HEKTOMERON – 100 Days, 100 Stories, 100 Directors from 100 Countries,* a project that received a UNITER Award for its originality.

Since 2016, Dragulescu has played a pivotal role in shaping the artistic vision and international development of the Craiova International Shakespeare Festival. Under his leadership, the 2026 edition reached an unprecedented scale, presenting 530 events across more than 70 venues and bringing together over 3,000 artists from 71 countries. This achievement further consolidated the festival's position as a major international platform for Shakespearean performance, artistic innovation, and intercultural exchange.

დ. ლენს მარში



დ. ლენს მარში Oklahoma Shakespeare თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას უკვე მეთვრამეტე წელია იკავებს, ხოლო ოკლაჰომა-სიტის უნივერსიტეტის თეატრის სკოლაში ოცდამეერთე წელია მოღვაწეობს. უნივერსიტეტში იგი თეატრის პროფესორი და სამსახიობო ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციასაც ასრულებდა.

Oklahoma Shakespeare თეატრში მარშს შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „ჰამლეტი“, „ემა“, „მხიარული მოჩვენება“, „ქარიშხალი“ და „უინძორელი მხიარული ქალები“. ამავე თეატრში დადგმული აქვს ჯორჯ ბერნარდ შოუს „შეუფერებელი კავშირი“ და „ვერასოდეს იტყვი“, ოსკარ უაილდის „სერიოზულობის მნიშვნელობა“, უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, „შეცდომების კომედია“, „ოტელო“, „საზომი საზომისა წილ“, „მაკბეთი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და „აურზაური არაფრის გამო“, ანტონ ჩეხოვის „თოლია“ და ნოელ კაუარდის „მხიარული მოჩვენება“. მარში მსახიობთა პროფესიული კავშირის, Actors’ Equity-ის, წევრია. City Rep-ის თეატრში მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ჩვენი ქალაქი“, „თივის ცხელება“, „მთვარის შუქი და მაგნოლიები“, „აგვისტო: ოსეიჯის ოლქი“, „აურზაური არაფრის გამო“ და „პიტერი და ვარსკვლავთმჭერი“. მან ასევე განასახიერა მარკ როთკო სპექტაკლში „წითელი“. მის ბოლო ნამუშევრებს შორისაა სემ ბაიკის როლი მიუზიკლში „მკვლელები“, რიჩარდ ნიქსონის როლი სპექტაკლში „ფროსტი/ნიქსონი“ და ებენეზერ სკრუჯის როლი ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერის“ ორ დადგმაში, ოკლაჰომის Lyric Theatre-ში.

მარშის სარეჟისორო ნამუშევრები და თეატრალური ადაპტაციები წარმოდგენილი იყო რომში, კვიპროსზე, ედინბურგის „ფრინჯის“ ფესტივალზე და თეატრალური განათლების მსოფლიო ალიანსის (WTEA) კონფერენციებზე, პეკინში. მან ახლახან დაასრულა ახალი პიესა, *Forrest, Macready, Macbeth,* რომელიც ასტორ-პლეისის არეულობის (Astor Place Riot) მოვლენებს ეხება.

D. LANCE MARSH, MFA



D. Lance Marsh is proud to be serving in his eighteenth year as an Associate Artistic Director for Oklahoma Shakespeare and in his twenty-first year at Theatre OCU, where he serves as a Professor and Head of Performance (and briefly as an Acting Associate Dean). For OS, he has acted in *Hamlet, Emma and Blythe Spirit, The Tempest,* and *The Merry Wives of Windsor* and directed *Misalliance, The Importance of Being Earnest, The Merchant of Venice, A Comedy of Errors, The Seagull, Othello, Measure for Measure, Macbeth, Blythe Spirit, A Midsummer Night's Dream,* GB Shaw's *You Never Can Tell,* and *Much Ado About Nothing.* A proud member of Actors Equity, he has performed in the City Rep productions of *Our Town, Hay Fever, Moonlight and Magnolias, August: Osage County, Much Ado About Nothing* and as Mark Rothko in *Red* and in *Peter and the Starcatcher*. His most recent projects include playing the role of Sam Byck in *Assassins*, Richard Nixon in *Frost/Nixon*, and Ebeneezer Scrooge (twice) in *A Christmas Carol* at Lyric Theatre of Oklahoma. His directing and theatrical adaptation work has been seen in Rome, Cyprus, at the Edinburgh Fringe Festival and the World Theatre Education Alliance conferences in Beijing. He has just completed a new play about the Astor Place Riots called *Forrest, Macready, Macbeth.*

ელგუჯა ხინთიბიძე



ელგუჯა ხინთიბიძე ქართველი ფილოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია. 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს იყო თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2012 წელს კი - აკადემიკოსად. იგი შუა საუკუნეების ფილოსოფიური კვლევების საერთაშორისო საზოგადოების (SIEPM) ნამდვილი წევრია.

მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურას, რუსთველოლოგიასა და ქართულ-ბიზანტიურ და ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. განსაკუთრებული ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსნისა“ და შექსპირის ეპოქის ინგლისური დრამატურგიის შესაძლო კავშირების კვლევას. ამ თემას ეძღვნება მისი ნაშრომები, მათ შორის ***‘The Man in Panther-skin’ in England in the Age of Shakespeare (2008) და Medieval Georgian Romance ‘The Man in a Panther-Skin’ and Shakespeare’s Late Plays (2018).***

ხინთიბიძე ქართველოლოგიური კვლევების განვითარებასა და საერთაშორისო პოპულარიზაციაში აქტიურად მონაწილეობს. იგი ქართველოლოგიური სკოლის ცენტრისა და ფონდის დამაარსებელი და ხელმძღვანელია, ასევე საერთაშორისო ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის „ქართველოლოგის“ დამფუძნებელი და რედაქტორი. მისი სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობა აღინიშნა არაერთი ჯილდოთი, მათ შორის საქართველოს ღირსების ორდენით (2003).

ELGUJA KHINTIBIDZE



Elguja Khintibidze is a Georgian philologist, Doctor of Philology, Professor, and Academician of the Georgian National Academy of Sciences. He graduated from the Faculty of Philology at Tbilisi State University in 1960. He subsequently served as Dean of the Faculty of Philology and Vice-Rector for Research at the same university. In 1997, he was elected a Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences and, in 2012, became a full Academician. He is also a full member of the International Society for the Study of Medieval Philosophy (SIEPM).

His scholarly interests encompass medieval Georgian literature, Rustvelology, and Georgian-Byzantine and Georgian-European literary relations. A particular focus of his research has been the possible connections between The Knight in the Panther's Skin and English drama of the Shakespearean era. His publications on this subject include *'The Man in a Panther-Skin' in England in the Age of Shakespeare* (2008) and *Medieval Georgian Romance 'The Man in a Panther-Skin' and Shakespeare's Late Plays* (2018).

Khintibidze has played an active role in advancing Georgian studies and promoting them internationally. He is the founder and director of the Centre and Foundation for Kartvelological Studies, as well as the founder and editor of the international bilingual scholarly journal Kartvelologist. His academic and scholarly achievements have been recognised with numerous honours, including the Order of Honour of Georgia, awarded in 2003.

მარინე (მაკა) ვასაძე



მარინე (მაკა) ვასაძემ დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2015 წელს მიიღო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი. არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კითხულობს ლექციების კურსს მსოფლიო თეატრის ისტორიაში, ასევე თეატრის კრიტიკასა და თეორიაში. უნივერსიტეტში მსოფლიო თეატრის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელია. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრის“ დირექტორი; 2005 წლიდან დღემდე საქართველოს თეატრის, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა რეგისტრირებული კავშირის „კულტურა“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე; 2005-2009 წწ. დამფუძნებელი და რედაქტორი გაზეთის „კულტურა“; სისტემატურად აქვეყნებდა და აქვეყნებს სტატიებს, წერილებს, რეცენზიებს თანამედროვე თეატრალურ პროცესებზე და პრობლემებზე საერთაშორისო და ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში. არის რამდენიმე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი, რედაქტორი, შემდგენელ-რედაქტორი.

სხვადასხვა წელს იყო საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წევრი, თეატრების განხრით; იყო და არის თბილისის მერიის თავისუფალი თეატრალური პროექტების კომისიის წევრი, საქართველოსა და უცხოეთის სათეატრო ფესტივალების ჟიურის და კომისიის წევრი. 2022 წელს დაჯილდოვდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური კონკურსის პრიზით ნომინაციაში წლის საუკეთესო რეცენზია. 2024 წელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ დაჯილდოვდა ვალერიან გუნიას სახელობის პრემიით წიგნისთვის - „რობერტ სტურუას სათეატრო ენის სემიოტიკა“.

MARINE (MAKA) VASADZE



She graduated from the Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. In 2015, she was awarded the degree of Doctor of Arts. She is an Associate Professor at the Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, where she lectures on the history of world theatre, as well as theatre criticism and theory. She is also the head of the World Theatre History department at the university. Director of the university's publishing house "Kentavri"; Since 2005, founder and chairperson of the registered union "Culture" of theatre, culture, and art workers of Georgia; From 2005 to 2009, the founder and editor of the newspaper "Culture". She has regularly published and continues to publish articles, essays, and reviews on contemporary theatre processes and issues in both international and Georgian journals and newspapers. She is the author, editor, and compiler-editor of several monographs, textbooks, and supplementary teaching materials.

Over the years, she has been a member of the advisory council of the Ministry of Culture of Georgia in the field of theatre; she has also served and continues to serve on the commission for independent theatre projects of Tbilisi City Hall, as well as juries and commissions of theatre festivals in Georgia and abroad. In 2022, she was awarded the prize for "Best Review of the Year" by the Georgian Theatrical Society's annual competition. In 2024, she was awarded the Valerian Gunia Prize by the Georgian Theatrical Society for her book "The Semiotics of Robert Sturua's Theatrical Language".

მაია კიკნაძე

MAIA KIKNADZE



მაია კიკნაძე არის თეატროლოგი, თეატრის კრიტიკოსი და მკვლევარი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ამავე უნივერსიტეტში უძღვება სალექციო კურსებს ქართული თეატრის ისტორიასა და სათეატრო კრიტიკაში. აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და კრიტიკული რეცენზია. არის ორი მონოგრაფიის ავტორი.

Theatrologist, theatre critic, and researcher; Associate Professor at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. She teaches courses in Georgian Theatre History and Theatre Criticism at the same university. She actively participates in international symposia and conferences and has published numerous scholarly papers and critical reviews. She is the author of two monographs.

მანანა გელაშვილი

MANANA GELASHVILI



მანანა გელაშვილი არის თსუ პროფესორი, დასავლური ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელი ცენტრის ხელძღვანელი.

მისი კვლევის სფეროა ინგლისური და ამერიკული მოდერნიზმი (ჯეიმზ ჯოისი, უილიამ ფოლკნერი, ეზრა პაუნდი, ტომას ვულფი, ვირჯინია ვულფი), ინგლისური რომანტიზმი, შექსპირის თარგმანები ქართულ ენაზე და მისი რეცეფცია. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი ნაშრომი, მათ შორის ოთხი მონოგრაფია.

რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში (ლონდონი, ოქსფორდი, პარიზი, ლისაბონი, ვენა, ბარსელობა და სხვ.). მისი ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე სართაშორისო კონფერენცია თბილისსა და ოქსფორდში მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმზე, ჯოისზე, შექსპირზე და დაისტამბა ამ კონფერენციების კრებულები, რომელთაგან სამი ბოდლეის ბიბიოთეკის კატალოგშია. მიღებული აქვს რამდენიმე ლოკალური და საერთაშორისო გრანტი, რომლის ფარგლებში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა კვლევები ჯოისზე და შექსპირზე.

Manana Gelashvili is Professor of English and head of the Institute of West European Languages and Literature and the Centre for Shakespeare Studies at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia.

Her research interests are: English and American Modernism (James Joyce, William Faulkner, Ezra Pound, Thomas Wolfe, Virginia Woolf), Shakespeare's translations into Georgian and perception of his works in other ages (Romanticism, Modernism, post-modernism). She has published about one hundred works, among them four monographs.

She has participated in several international conferences in London, Oxford, Rome, Paris, Lisbon, Vienna and organized a few of them in Tbilisi and Oxford on Modernism and Post-modernism, James Joyce, Shakespeare and edited Collected Papers of these Conferences. Three of them are in the catalogue of The Bodleian Library. She has also received a number of local and international grants and supervised several research projects mostly on Shakespeare and Joyce.

ქეთევან გრძელიძე

KETEVAN GRDZELIDZE



ქეთევან გრძელიძე, მთარგმნელი და ლიტერატორი, ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელია. არის რამდენიმე, მათ შორის, რიჩარდ შეხნერისა და ეჟი გროტოვსკის ნაშრომების ქართულენოვანი თარგმანის ავტორი. კვლევის მიმართულება: ინგლისური პოეზია და დრამა.

Translator and literary scholar, Doctor of Philology, Professor and Head of the English Philology Programme at Caucasus University. She has translated several works into Georgian, including writings by Richard Schechner and Jerzy Grotowski. Her research focuses on English poetry and drama.

მანანა ანასაშვილი



მანანა ანასაშვილი, საქართველოს შექსპირის ასოციაციის დამაარსებელი და თავმჯდომარე, საქართველოს კინოაკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელია; ის კინოსა და თეატრის ქართველი რეჟისორი, სცენარისტი, პედაგოგი და პროფესორია, რომელსაც ხელოვნების, აკადემიური საქმიანობისა და კულტურის მართვის სფეროებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. წარჩინებით დაამთავრა ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, შემდეგ კი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტი; 2003წ-ს აშშ-ში, ვისკონსინის უნივერსიტეტის ხელოვნების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო.

მისი პროფესიული საქმიანობა მოიცავს თეატრის, ტელევიზიისა და კინოს რეჟისურას. წლების განმავლობაში იყო პოპულარული ტელე-გადაცემის „კინონოსტალგია“ ავტორი და წამყვანი. მისი სპექტაკლი „ბნელ ოთახში“ 23 წლის განმავლობაში იყო თუმანიშვილის სახ.-ის კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში.

მანანა ანასაშვილის ფილმი „მხოლოდ ერთხელ“ დაჯილდოებულია პრიზებით სხვადასხვა საერთაშორისო კინოფეტივალებზე. შავი ზღვის აუზის ქვეყნების კინოფესტივალზე - ოქროს არწივი, ის მთავარი პრიზით, „ოქროს არწივი“, დაჯილდოვდა.

ანასაშვილი სცენარის ავტორი, რეჟისორი, და პროდუსერია ფილმისა საყოველთაოდ ცნობილ რეჟისორზე რობერტ სტურუაზე, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე მეტი შექსპირის პიესა დადგა სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე. ფილმი „რობიკო სტურუა - რამდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან“ ნაჩვენები იყო არა ერთ ევროპულ ქვეყანაში და აშშ-ში, ასევე იორკის შექსპირის საერთაშორისო ფესტივალზე დიდ ბრიტანეთში, და კრაიოვას შექსპირის საერთაშორისო ფესტივალზე რუმინეთში.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ეწევა საქართველოსა და აშშ-ს უნივერსტეტებში. ასწავლიდა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ტელე-კინორეჟისურასა და მსახიობის ოსტატობას. ხოლო ამჟამად, 2005 წელს დაარსებული, მიჩიგანის უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის და AGILE (American-Georgian Initiative for Liberal Educationa)-ს ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის „Liberal Arts“ პროფესორია და დაარსებიდან დღემდე ამ პროგრამაში შექსპირის კურსს ასწავლის სხვა კურსებთან ერთად.

მანანა ანასაშვილი ასევე მუშაობდა Euronews Georgia-ში საჯარო გამოსვლების ტექნიკისა და მეტყველების ქოუჩად. 2026 წლის ივნისიდან კი მალტა საქართველოს ქალთა საერთაშორისო კინოფესტივალის (MGIWFF) - „სინებრიჯი“ დამფუძნებელი და დირექტორია.

MANANA ANASASHVILI



Manana Anasashvili, Founder and Head of the Georgian Shakespeare Association is the head of the International Relations of Georgian Film Academy. She is a Georgian film and theater director, screenwriter, educator, and professor with years of experience in the fields of art, academic activity, and cultural management.

She graduated with honors first from Tbilisi State Medical University, followed by the Faculty of Directing at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. In 2003, she earned a Master's degree in Arts Administration from the University of Wisconsin, USA.

Her professional career spans directing across theater, television, and film. For many years, she was the author and host of the popular TV show Film Nostalgia. One of her stage productions, "In the Dark Room", had a record run and was being performed in Georgia for 23 years.

Her film "Only Once" was awarded at several international film festivals and won also Golden Eagle Award at The Black Sea Area Countries Film Festival GOLDEN EAGLE.

She made the film (Scriptwriter, Director and Producer) "Robiko Sturua - Some Scenes from the Life of Theatre Director" about world renowned theatre director Robert Sturua, who staged most the Shakespearean plays in the world. This film was screened in many European countries and in the USA, as well as at the York International Shakespeare Festival (UK) and Craiova International Shakespeare Festival (Romania).

Ms. Anasashvili has taught at universities in both Georgia and the United States. She previously taught TV and Film Directing, as well as Acting, at Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University. Currently, she is a professor of the joint undergraduate program "Liberal Arts" of Michigan State University, Ilia State University and AGILE (American-Georgian Initiative for Liberal Education) established in 2005, where she has been teaching various courses, including a course on Shakespeare.

She has also worked as a public speaking and voice coach at Euronews Georgia. Furthermore, from June of 2026 Manana Anasashvili is the founder and director of the Malta-Georgia International Women's Film Festival (MGIWFF) - CINEBRIDGE.

ქეთევან ქანთარია

KETEVAN KANTARIA



ქეთევან ქანთარია არის მთარგმნელი, აღმოსავლეთმცოდნე, დამოუკიდებელი გამომცემელი, „მთარგმნელთა გამომცემლობის“ დამფუძნებელი. წარსულში თანამშრომლობდა წამყვან ქართულ პერიოდულ გამოცემებთან, წერდა რეგიონულ საკითხებზე (სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასია, აღმოსავლეთ/ცენტრალური ევროპა). ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ლიბერალის“ პროექტს „სამხრეთ კავკასიის ხმები“. მისი ძირითადი და საყვარელი საქმიანობა მაინც თარგმნაა. თარგმნის ინგლისური და პოლონური ენებიდან. მის ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრებს შორისაა ჰენრი დეივიდ თორო, „უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“; ბრუნო შულცი, „დარიჩინისფერი მაღაზიები“, ვიტოლდ გომბროვიჩი: „ფერდიდურკე“, „პორნოგრაფია“, „ქორწინება“; კურტ ვონეგუტის „სასაკლაო no. 5“; ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“; პოლ ოსტერის „ილუზიების წიგნი“, „მისნის ღამე“, „ნიუ-იორკული ტრილოგია“ და სხვა. თარგმნილი აქვს ს. ი. ვიტკევიჩის, იულია ფიედორჩუკის, ბარბარა კლიცკას, ბენიამინ ბუკოვსკის, ადამ ზამოისკის, დოროტა მასლოვსკას, დიბისი პიერის, პიტერ ქერის, ჩარლზ ბუკოვსკისა და სხვა ავტორების ნაწერები. ათიოდე წელია, გამომცემლობა „ზიარისთვის“ თარგმნის მე-20 საუკუნის ისტორიის სერიის წიგნებს.

Translator, orientalist, independent publisher, and founder of the Translators Publishing House in Tbilisi. She has contributed to major Georgian periodicals with a series of articles on regional issues, focusing on the South and North Caucasus and Eastern and Central Europe. She also led Liberali magazine's project "Voices of the South Caucasus." Translation remains her primary and preferred occupation. She translates from English and Polish into Georgian. Her major translations include Henry David Thoreau's *Walden; or, Life in the Woods;* Bruno Schulz's *Sklepy cynamonowe*; Witold Gombrowicz's *Ferdydurke, Pornografia*, and *Ślub*; Kurt Vonnegut's *Slaughterhouse-Five*; Philip Roth's *Portnoy's Complaint;* Paul Auster's *The Book of Illusions, Oracle Night,* and *The New York Trilogy;* as well as works by S. I. Witkiewicz, Julia Fiedorczuk, Barbara Klicka, Benjamin Bukowski, Adam Zamoyski, Dorota Masłowska, DBC Pierre, Peter Carey, Charles Bukowski, and others.

ქეთი დოლიძე



ქეთი დოლიძე - ქართველი რეჟისორი, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე - ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული წარმომადგენელია. იგი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ (GIFT) დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

დაიბადა თბილისში, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, სიკო დოლიძის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, შემდეგ კი - თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო და სამსახიობო ფაკულტეტები. მის პროფესიულ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითმა სკოლამ.

ქეთი დოლიძე მუშაობდა საქართველოს ტელევიზიასა და კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გადაღებული აქვს არაერთი მხატვრული და სატელევიზიო ფილმი. როგორც რეჟისორი და მსახიობი, მონაწილეობდა მნიშვნელოვან თეატრალურ პროექტებში, რომელთა ნაწილი ედინბურგისა და ლონდონის სცენებზე იყო წარმოდგენილი. 1997-2017 წლებში იგი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

1989 წელს, შოტლანდიაში, ქეთი დოლიძესა და ფესტივალის პროდიუსერ უილიამ ბურდეტ-კოუტსს საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალის დაარსების იდეა გაუჩნდათ. ეს იდეა 1997 წელს თბილისში განხორციელდა და საფუძველი ჩაეყარა GIFT-ს - ფესტივალს, რომელმაც საქართველოს კულტურული ცხოვრება საერთაშორისო სახელოვნებო პროცესებს დაუკავშირა და თბილისი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრისა და ხელოვნების წარმომადგენელთა შეხვედრის მნიშვნელოვან სივრცედ აქცია.

ქეთი დოლიძის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოთი და აღიარებით აღინიშნა. 1998 წელს იგი მსოფლიოს 100 გამორჩეულ ქალს შორის დასახელდა გამბედაობისა და ქალთა უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2021 წელს - თამარ მეფის ორდენით, ხოლო 2015 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

ვანესა რედგრეივმა ქეთი დოლიძის სამსახიობო ხელოვნებას შემდეგნაირად შეაფასა: „ქეთი დოლიძის ხილვამ ჩემში იმედი და სევდა გააღვიძა - ამასთან, უდიდესი აღტაცება ჭეშმარიტად დიდი მსახიობის მიმართ.“

KETI DOLIDZE



Keti Dolidze is a distinguished Georgian theatre and film director, actress, and public figure, whose artistic and cultural contributions have left a notable mark on Georgian theatre and cinema. She is the founder and Artistic Director of GIFT - Georgian International Festival of Arts in Tbilisi in honor of Mikhail Tumanishvili.

Born in Tbilisi into the family of renowned Georgian film director Siko Dolidze, she graduated from the Faculty of Western European Languages and Literature at Tbilisi State University, before pursuing studies in directing and acting at the Tbilisi State Theatre Institute. The artistic legacy and creative school of Mikheil Tumanishvili played a formative role in her professional development.

Dolidze worked for Georgian Television and the Georgian Film Studio, directing numerous feature films and television productions. Her work in theatre, both as a director and an actress, has been presented in significant projects, several of which were staged on the international platforms of Edinburgh and London. From 1997 to 2017, she served as Artistic Director of the Mikhail Tumanishvili Theatre of Film Actors.

The idea of an international arts festival took shape in Scotland in 1989, when Keti Dolidze and festival producer William Burdett-Coutts conceived a vision that would eventually find its home in Tbilisi. Realised in 1997, the festival - GIFT - has since brought Georgia's cultural life into dialogue with the international arts scene, establishing Tbilisi as a meeting place for theatre-makers and artists from around the world.

Keti Dolidze's artistic achievements and public engagement have been recognised through numerous honours and distinctions. In 1998, she was named among the world's 100 outstanding women in recognition of her courage and contribution to the advancement of women's rights. She received the Order of Honour in 1996 and the Queen Tamar Order in 2021; in 2015, she was named an Honorary Citizen of Tbilisi.

Vanessa Redgrave once paid tribute to Dolidze's artistry as an actress: "Watching Keti Dolidze inspired me with hope and grief – and immense admiration for truly great actress."

სოფიო თორთლაძე



სოფიო თორთლაძე ქართველი კულტურის მენეჯერი და საერთაშორისო პროდიუსერია, რომელსაც საშემსრულებლო ხელოვნების, ფესტივალების განვითარებისა და კულტურული დიპლომატიის სფეროში თითქმის 30-წლიანი გამოცდილება აქვს.

1997 წლიდან იგი არის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ (GIFT) გენერალური მენეჯერი. მისი ხელმძღვანელობით ფესტივალი ჩამოყალიბდა კავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პლატფორმად, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებას, საერთაშორისო პროფესიულ თანამშრომლობასა და ქართული თეატრის ინტეგრაციას მსოფლიო კულტურულ სივრცეში.

სოფიო თორთლაძეს სხვადასხვა დროს ეკავა საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელის პოზიციები რუსთაველის ეროვნულ თეატრსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. იგი ასევე იყო ლონდონის ნაციონალური თეატრის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და ნიდერლანდებში დაფუძნებული Stichting Caucasus Foundation-ის დიდი ბრიტანეთი–კავკასიის პროექტების კოორდინატორი.

მისი საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო თეატრებთან, ფესტივალებთან და კულტურულ ინსტიტუციებთან გრძელვადიანი პარტნიორობების ჩამოყალიბებას, საერთაშორისო პროექტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინიციირებასა და განხორციელებას. სხვადასხვა წლებში მისი მონაწილეობით საქართველოში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის ალან რიკმანისა და მარკ რავენჰილის მონაწილეობით გამართული პროფესიული შეხვედრები, მასტერკლასები და საგანმანათლებლო პროგრამები.

იგი არის ქართულ-ბრიტანული კულტურული პლატფორმის თავმჯდომარე. 2016 წელს იტალიაში წარდგა TED-ის სპიკერად მოხსენებით „May I Speak About My Country“. მისი პროფესიული საქმიანობა აღიარებულია საერთაშორისო კულტურულ სივრცეში, ხოლო მრავალწლიანი თანამშრომლობა ევროპულ თეატრებთან და ფესტივალებთან მნიშვნელოვანი წვლილია საქართველოს კულტურული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში.

SOPHIO TORTLADZE



Sophio Tortladze is a Georgian cultural manager and international producer with nearly 30 years of experience in the performing arts, festival development and cultural diplomacy.

Since 1997, she has served as General Manager of the Georgian International Festival of Arts "GIFT" in Honour of Michael Tumanishvili. Under her leadership, the festival has developed into one of the Caucasus region's major international platforms, promoting the development of contemporary performing arts, international professional cooperation and the integration of Georgian theatre into the global cultural landscape.

Throughout her career, Sophio Tortladze has held senior positions in international relations at the Rustaveli National Theatre and Kote Marjanishvili State Drama Theatre. She also served as the official representative of the National Theatre, London, in Georgia and as UK–Caucasus Projects Coordinator for the Netherlands-based Stichting Caucasus Foundation.

Her work encompasses the development of long-term partnerships with international theatres, festivals and cultural institutions, as well as the initiation and implementation of international projects and educational programmes. Over the years, she has contributed to numerous significant projects in Georgia, including professional meetings, masterclasses and educational programmes featuring internationally acclaimed artists such as Alan Rickman and Mark Ravenhill.

She is also Chair of the Georgian–British Culture Platform. In 2016, she delivered a TED Talk entitled "May I Speak About My Country" in Italy. Her professional achievements have earned her recognition in the international cultural community, while her longstanding collaboration with European theatres and festivals has made a significant contribution to the development of Georgia's international cultural relations.

სოფია ნადიბაიძე

SOPHIA NADIBAIDZE



სოფია ნადიბაიძე არის თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და მოწვეული ლექტორი. მისი სადისერტაციო ნაშრომი და კვლევის ძირითადი მიმართულება XXI საუკუნის პოლონურ თეატრში საშემსრულებლო ფორმებისა და იდეოლოგიის ცვლილებებს უკავშირდება. იგი აქტიურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას და სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს, მათ შორის - „ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებულში“. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, მუდმივად არის ჩართული მსოფლიო და ადგილობრივ თეატრალურ პროცესებში.

Theatrologist, PhD Candidate, and Guest Lecturer at Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University. Her doctoral dissertation and primary research focus on shifts in performance forms and ideology in 21st-century Polish theatre. She is actively engaged in academic research and regularly publishes scholarly articles, including in the *International Collection of Art and Media Studies.* Alongside her academic work, she remains actively involved in the contemporary theatre scene and serves as a jury member at various theatre festivals.

პროგრამის კოორდინატორი
PROGRAMME COORDINATOR



ნანა ლეწვერიძე
NANA LETSVERIDZE

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nana Letsveridze, Head of the International Relations Office
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University (TAFU)
nletsveridze@tafu.edu.ge

www.tafu.edu.ge | www.theatreleaders.org

თბილისი, საქართველო
2026
Tbilisi, Georgia